

## საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების 2015 წლისათვის განსაზღვრული თანხების გადანაწილების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილების „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ და საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დადგენილი გამოყოფილი თანხების განაწილების შესახებ

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ საქართველოს მთავრობის N117-ე (27.01.2014) დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რელიგიურ გაერთიანებებთან კონსულტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების (მრევლის რაოდენობა, სასულიერო პირების რაოდენობა და საკულტო შენობა-ნაგებობების რაოდენობა) შესწავლის საფუძველზე, სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით (N2934. 12/12/2014) საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით 2015 წლისთვის განსაზღვრული თანხა - 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, რელიგიური თემებისთვის განაწილდეს შემდეგი ოდენობით:

- ა) საქართველოს ისლამური თემი - 2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარი;
- ბ) საქართველოს სომეხთა სამოციქულო ქრისტიანული თემი - 600 000 (ექვსასი ათასი) ლარი;
- გ) საქართველოს რომაულ-კათოლიკეთა ქრისტიანული თემი - 400 000 (ოთხასი ათასი) ლარი;
- დ) საქართველოს იუდეური თემი - 300 000 (სამასი ათასი) ლარი.